

შპს კანოპუსი

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

საქართველო, ქ.თბილისი
2023
წელი

1. კომპანიის ისტორია და განვითარება

შპს კანოპუსი (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ ოფიციალური იურიდიული მისამართია საქართველო, საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ს. მესხის ქუჩა, N 13

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობის სახეა **სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით** მომსახურებაა.

კომპანია არ ეწევა რაიმე სხვა ტიპის მომსახურებას

შპს კანოპუსი რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში

2017 წლის 26 სექტემბერიდან. დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელად „კომპანია“ რეგისტრირებულია 2018 წლის 12 თებერვლიდან.

„კომპანიის“ დირექტორი დაფუძნებიდან 2023 წლის ივლისის თვემდე გახლდათ გოდერძი მამალაძე, ხოლო ივლისის თვიდან კომპანიის დირექტორად დაინიშნა იური კოროტჩენკო და არის დღემდე.

„კომპანიის“ პარტნიორები 2023 წლის ივლისის თვემდე იყვნენ:

გოდერძი მამალაძე, (პ/ნ 01026015571) 30%-წილით

შალვა ხუხაშვილი, (პ/ნ 01024062741) 50%-წილით

ალექსანდრე ჩხეიძე, (პ/ნ 01024044485) 10%-წილით

თათია მამულაშვილი, (პ/ნ 01017027642) 10%-წილით

ხოლო 2023 წლის ივლისიდან კომპანიის მესაკუთრეა 100 %-იანი წილით

იური კოროტჩენკო (პ/ნ 01791044676)

კომპანია აღნიშნულ ბიზნესში დაუგროვდა საკმაო გამოცდილება, კომპანიის მენეჯმენტში მოწვეული იქნენ გამოცდილი კადრები, ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნების შემთხვევაში რაც ყველაზე მნიშვნელოვანია შემოსული ტურისტისთვის სასტუმროს აქვს დაცული და მაღალ ხარისხიანი გარემო კონკურენტულ ფასად.

საქართველო, ქ.თბილისი

2023

წელი

ვაცნობიერებთ რა რომ უცხოელი ტურისტისთვის ჩვენ ვართ ერთ-ერთი პირველ შემხვედრი ქვეყანაზე შთაბეჭდილების შექმნის თვალსაზრისით და ჩვენი მასპინძლობის ხარისხი უაღრესად მნიშვნელოვანია.

2. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

გაგაცნობთ კომპანიის ბოლო ორი წლის ძირითად ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებს:

დასახელება	31.12.2023	31.12.2022	სხვაობა წინა წელთან შედარებით	% წინა წელთან შედარებით
აქტივების ჯამური ღირებულება	2970754	3113086	-142332	-5%
ერთობლივი შემოსავალი	674029	695206	-21177	-3%
მიმდინარე ვალდებულებები	44149	2978947	-2934798	-99%
მოგება/ ზარალი	-514524	-370900	-143624	39%
სულ კაპიტალი	2926305	134139	2792166	2082%

იმდენად რამდენად 2023 წლის ივლისის თვეში შეიცვალა კომპანიის დირექტორი და მეწილე კომპანიამ ორიენტაცია აიღო ინვესტიციის მოზიდვაზე და საბანკო და არა საბანკო სესხების დაფარვაზე, კომპანიის დამფუძნებელმა გაზარდა საწესდებო კაპიტალი და 2023 წლის ბოლოს კომპანიას აღარ ერიცხებოდა არანაირი სასესხო ვალდებულება, შემცირდა სავაჭრო ვალდებულებებიც.

საქართველო, ქ.თბილისი
2023
წელი

როგორც ცხრილში ჩანს აქტივები შემცირებულია 5%-ით რაც ერთის მხრივ ამორტიზაციის დარიცხვამ და მეორეს მხრივ დებიტორული დავალიანების შემცირებამ გამოიწვია,

ერთობლივი შემოსავალი შემცირდა 3%-ით, რაც გამოიწვია სასტუმროში რესტორნის ფუნქციონირების დროებით შეჩერებამ.

გასულ წელთან შედარებით ზარალი გაზრდილია 39%-ით რაც გამოიწვია დასაქმებულების ხელფასების ზრდამ და სხვა ადმინისტრაციული ხარჯების გაზრდამ

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი - მიმდინარე აქტივებით მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის უნარი, ეს მაჩვენებელი 2023 წლის ბოლოსათვის შეადგენს 67,29 რაც საუკეთესო მაჩვენებელია სტაბილურობის თვალსაზრისით.

აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი ანუ მოკლევადიანი ვალდებულებების დაუყოვნებლივ დაფარვის შესაძლებლობა ანგარიშსწორების ანგარიშზე და ბანკებში სხვა ანგარიშზე ფულადი სახსრების ხარჯზე. ეს მაჩვენებელი 2023 წლის ბოლოსათვის შეადგენს 0,5 რაც ითვლება კარგ მაჩვენებლად (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.2);

2022 წელთან შედარებით 37343 ლარით გაიზარდა ძირითადი საშუალებები.ძირითადად შეძენილია ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი ოფისისთვის.

ახალი ხელმძღვანელის პირობებში ჩადებულმა ინვესტიციებმა საგრძნობლად გამოასწორა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, იგრძნობა დადებითი ტენდენციები რასაც თუ ხელს შეუწყობს ქვეყანაში მშვიდობიანი პერიოდი ვფიქრობთ 2024 წელს კომპანის გაცილებულით უკეთესი შედეგები ექნება

კომპანიის ყველა ანალიტიკური მაჩვენებელი ბევრად აღემატება კრიტიკულ ზღვარს და წინა წელს, იგრძნობა დადებითი ტენდენციები, კოვიდის პერიოდმა სასტუმრო ბიზნესზე არსებითად იმოქმედა.

3. მისია და მიზნები

კომპანიის ახალ ხელმძღვანელობას მიზნად აქვს დასახული ტურისტის შეუქმნას როგორც საოჯახო ასევე მყუდრო და კომფორტული გარემო. მომდევნო 3 წლის განმავლობაში დაგეგმილია სატრანსპორტო საშუალებების შეძენა რათა შევძლოთ და ტურისტს გავუწიოთ პაკეტური ტურისტული მომსახურება. ასევე დაგეგმილია სასტუმროში შოუ რუმის მოწყობა სადაც ტურისტს შეეძლება ეკრანზე იხილოს ღირს შესანიშნავი ადგილები 3D ეფექტით და თავად დაგეგმოს საქართველოში გატარებული დღეები.

რაც შეეხება მოკლევადიან გეგმებს 2024 წელს დაგეგმილია სასტუმროს ცნობადობის არსებითი გაზრდა უცხოეთში სოციალური ქსელების მეშვეობით.

4. კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა

საშტატო ერთეული

პოზიცია	რ-ბა
დირექტორი	1
მენეჯერი	1
ბუღალტერი	1
დამლაგებელი	4
მიმტანი	2
მზარეული	2
ადმინისტრატორი	2

კომპანიაში 2023 წელს დასაქმებული იყო 13 ადამიანი. სარესტორნო მომსახურების დროებით შეჩერებამ გამოიწვია წინა წელთან შედარებით ორი თანამშრომლით შემცირება.


5. თანამშრომლების მოტივაცია და პროფესიული განვითარება

კომპანიაში მკაცრად კონტროლდება კანონით განსაზღვრული ნორმირებული სამუშაო დღე და გათვალისწინებულია ხელფასის ზრდა გამოცდილებასთან და კომპანიაში ხანგძლივი მუშაობის შესაბამისად.

6. ძირითადი რისკები და პრევენცია

- ყველა სართულზე განთავსებულია ევაკუაციის გეგმა და ქცევის წესები;
- კომპანიას აქვს ხელშეკრულება უსაფთხოების სამსახურთან რისი დახმარებითაც ვუზრუნველყოფთ დაქირავებული სტაფის და სტუმრების უსაფთხო გარემოს;

დირექტორი :


მ. ნაძლიაძე

საქართველო, ქ.თბილისი
2023
წელი

სარჩევი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა განმარტებითი შენიშვნები.....	7
1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ	7
2. მომზადების საფუძვლები	8
3. საქმიანობის უწყვეტობა.....	8
4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	8
4.1 ამონაგების აღიარება	8
ფინანსური ინსტრუმენტები.....	9
4.2 ძირითადი საშუალებები	10
4.3 არამატერიალური აქტივები	10
4.4 მარაგი.....	10
4.5 იჯარა.....	11
4.6 საინვესტიციო ქონება.....	11
4.7 აქტივების გაუფასურება.....	11
4.8 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები.....	12
4.9 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	12
5. გადასახადები	13
5.1 მოგების გადასახადი	13
5.2 დამატებული ღირებულების გადასახადი	13
5.3 საშემოსავლო გადასახადი.....	13
6. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები, პირობითი აქტივები.....	14
ანარიცხები	14
პირობითი ვალდებულებები	14
პირობითი აქტივი.....	14

7. სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები.....	15
8. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ახსნა-განმარტებები.....	15
შენიშვნა 9	16
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	17
შენიშვნა 10	17
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	17
შენიშვნა 11	17
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	17
შენიშვნა 12	17
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.....	17
შენიშვნა 13	18
საგადასახადო ვალდებულებები	18
შენიშვნა 14	18
სასესხო ვალდებულებები	18
9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	18

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
	21952	6284	35871
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1104	20865	4694
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	861	322041
მარაგები	4802	10219	18394
სხვა	4802	10219	18394
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	27192
ძირითადი საშუალებები	2942596	3074857	2972422
სულ აქტივები	2970454	3113086	3380614

ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	39409	64919	49798
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	637	0
საგადასახადო ვალდებულებები	3488	7654	32675
გამომუშავებელი შემოსავალი	0	6825	11002
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	32638	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	2866274	3374486
სხვა ვალდებულებები	1252	0	0
სულ ვალდებულებები	44149	2978947	3467961
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	3440829	505039	405730
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-514524	-370900	-493077
სულ საკუთარი კაპიტალი	2926305	134139	-87347
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2970454	3113086	3380614
სულ მოკლევადიანი აქტივები	27858	10219	27192
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	44149	105848	49798

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 15
სექტემბერი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი




შემოსავლის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/20 23	31/12/20 22
ნეტო ამონაგები	674029	695206
საქონლის გაყიდვიდან	0	33896
მომსახურების გაწევიდან	674029	661310
გაყიდვების თვითღირებულება	-165074	-10445
საერთო მოგება	508955	684761
დასაქმებულთა ანაზღაურება	-192875	-133565
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-169523	-165752
საპროცენტო ხარჯი	-130596	-252391
იჯარის ხარჯი	0	-12843
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-243404	-401286
სულ საოპერაციო ხარჯები	-736398	-965837
საოპერაციო მოგება	-227443	-281076
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	424728
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	83820	870
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-143623	144522
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-143623	144522
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-143623	144522
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	134139	-87347
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	2935789	0

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	76964
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2926305	134139

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 15 სექტემბერი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ფულადი ნაკადების ანგარიში

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	3521	-372522
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	3007788	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-3011671	-81793
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-362	-454315
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	16030	424728
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	6284	35871
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	21952	6284

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის -15 სექტემბრი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი
31.12.2021 წლის მდგომარეობით	405730	-493077
31.12.2022 წლის მდგომარეობით	505039 -	-370900
31.12.2023 წლის მდგომარეობით	3440329	-514524

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 15 სექტემბერი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს კანოპუსი (შემდგომში „კომპანია“) საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა.

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ს. მესხის ქუჩა, N 1

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობის: სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებებით მომსახურება.

შპს კანოპუსი რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში

2017 წლის 26 სექტემბერიდან. დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელად „კომპანია“ რეგისტრირებულია 2018 წლის 12 თებერვლიდან.

„კომპანიის“ დირექტორი დაფუძნებიდან 2023 წლის ივლისის თვემდე გახლდათ გოდერძი მამალაძე, ხოლო ივლისის თვიდან კომპანიის დირექტორად დაინიშნა იური კოროტჩენკო და არის დღემდე.

„კომპანიის“ პარტნიორები 2023 წლის ივლისის თვემდე იყვნენ:

გოდერძი მამალაძე, (პ/ნ 01026015571) 30%- წილით

შალვა ხუხუშვილი, (პ/ნ 01024062741) 50%-წილით

ალექსანდრე ჩხეიძე, (პ/ნ 01024044485) 10%-წილით

თათია მამულაშვილი, (პ/ნ 01017027642) 10%-წილით

ხოლო 2023 წლის ივლისიდან კომპანიის მესაკუთრეა 100 %-იანი წილით

იური კოროტჩენკო (პ/ნ 01791044676)

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების დაცვით.

ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია გამოსაცემად 2024 წლის 15 სექტემბერს

2. მომზადების საფუძვლები

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან შესაბამისობაში.

ფინანსურ ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში

3. საქმიანობის უწყვეტობა

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპების დაცვით

. „კომპანია“-ს აქვს როგორც ფინანსური ასევე ყველა სხვა უნარი განაგრძოს დაწყებული საქმიანობა.

კომპანიის ხელმძღვანელობას არ აქვს არანაირი განმრავლება საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

4.1 ამონაგების აღიარება

„კომპანიის“ ამონაგები არის სასტუმრო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი,

„კომპანი“ შემოსავლად აღიარებს როგორც მიღებულ ასევე მისაღებ საზღაურს, მომსახურების საზღაური რეგულირდება საბაზრო ფასებით.

„კომპანია“ ავანსს აღიარებს კლიენტთან გარიგებისთანავე თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები

- ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს
- შესაძლებელია მომსახურებაზე გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

კომპანია ამონაგებს აღიარებს საანგარიშო ოპერაციის პერიოდის ბოლოს

თუ შეუძლებელია მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული შედეგის საიმედოდ შეფასება, მაშინ „კომპანია“ ამონაგებს აღიარებს მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

ფინანსური ინსტრუმენტები

„კომპანი“-ის ფინანსური ინსტრუმენტებია

- ფულადი სახსრები
- სავაჭრო მოთხოვნები
- სავაჭრო ვალდებულებები
- სასესხო ვალდებულებები.

ფინანსურ აქტივს და ფინანსურ ვალდებულებას „კომპანია“ აღიარებს გარიგების ფასით. გარდა ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით.

მომხმარებელზე სასტუმროს რეზერვაციის მოკლევადიანი საკრედიტო პირობით დაჯავშნის შემთხვევაში „კომპანია“ მოთხოვნას აღიარებს მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

გრძელვადიანი მოთხოვნების შემთხვევაში მოთხოვნა აღიარდება მომავალში მისაღები ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების დღის ღირებულებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის დანახარჯებში, როდესაც იქნა გაწეული.

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობით მომსახურების შეძენის შემთხვევაში კომპანია ვალდებულებას აღიარებს მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები კომპანიას ასახული აქვს ისტორიული ღირებულებით რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით. ცვეთის დარიცხვა წარმოებს წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადები:

დასახელება	მომსახურების წლები
შენობა-ნაგებობები	25-50
ინვენტარი	5-15
მანქანა-დანადგარები	10
ოფისის აღჭურვილობა	5-17
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-17

თუ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა სხვადასხვა მიზეზებით აღმოჩნდა ხანგძლივი არნიშნული აქტივების ღირებულება კორექტირდება პერსპექტიულად.

4.3 არამატერიალური აქტივები

კომპანია არამატერიალურ აქტივებს აფასებს თვითღირებულებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად. ამ ეტაპზე კომპანიას არ გააჩნია არამატერიალური აქტივები.

4.4 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის

მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის „კომპანია“ იყენებს „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდს.

4.5 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ამ ეტაპზე კომპანიას არ აქვს ფინანსური იჯარა ხოლო ჩვეულებრივ იჯარას ხარჯად აღიარებს პერიოდის პროპორციულად

4.6 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც „კომპანია“ ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდისთვის. „კომპანია“ საინვესტიციო ქონებას თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის ფასს და ნებისმიერ დანახარჯებს. საინვესტიციო ქონებას „კომპანია“ აფასებს ყოველი საანგარიშო თარიღისათვის რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგება-ზარალში ასახვით. თუ რეალური ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება აღარ არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე, „კომპანია“ ამ აქტივს აღრიცხავს მის ფასს სტანდარტის მე-17 განყოფილების შესაბამისად, მანამ სანამ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება არ გახდება ისევ შესაძლებელი.

4.7 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალების ინვენტარიზაცია რათა დადგინდეს ზედმეტობები ან დანაკარგები.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ

შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება ან ზარალში.

იმ შემთხვევაში თუ, შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4.8 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, „კომპანია“-ის მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემო აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.9 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი ოპერაციის თარიღისთვის. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთ სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

5. გადასახადები

5.1 მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, არ იბეგრება 2017 წლის პირველი იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ დამფუძნებლებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები არიან, გასანაწილებელი თანხიდან 15/85 ოდენობით.

მოგების გადასახადი დივიდენდების გადახდის შედეგად აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა საგადასახადო ხარჯების“ სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

5.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გარეშე, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

„კომპანიის“ ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით იბეგრება დღითი ჩათვლის უფლებით.

5.3 საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

6. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები, პირობითი აქტივები.

ანარიცხები

„კომპანია“ ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- საწარმოს საანგარიშგებო თარიღისათვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად;
- მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არ მოხდენა) რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან;
- შესაძლებელია ვალდებულებების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

„კომპანია“ ანარიცხებს აღიარებს, როგორც ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ანარიცხის ტოლი თანხა აღიარდება ხარჯად თუ მის ფასს-ის სტანდარტის სხვა განყოფილება არ მოითხოვს მისი ღირებულების ასახვას ისეთი აქტივის თვითღირებულების შემადგენელი ნაწილის სახით, როგორიცაა ძირითადი საშუალებები ან მარაგი.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება, რომელიც არ აღიარდება იმიტომ, რომ არ არის შესაძლებელი ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

პირობითი აქტივი

„კომპანია“ არ აღიარებს პირობით აქტივს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში ეჭვს არ იწვევს მოცემული აქტივი არ წარმოადგენს პირობით აქტივს და მართებულია მისი აღიარება აქტივის სახით.

7. სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები.

7.1 საქონლის და მომსახურების რეალიზაციიდან

ბრუტო ამონაგები შემდეგნაირად იშიფრება :

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
საქონლის გაყიდვიდან	0	33896
მომსახურების გაწევიდან	674029	661310

7.2 ხარჯები მუხლების მიხედვით ასე გამოიყირება:

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
დასაქმებულთა ანაზღაურება	-192875	-133565
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-169523	-165752
საპროცენტო ხარჯი	-130596	-252391
იჯარის ხარჯი	0	-12843
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-243404	-401286
სულ საოპერაციო ხარჯები	-736398	-965837

8. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ახსნა-განმარტებები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	რ-ბა	საწყისი ნაშთი	ბრუნვა				რ-ბა	საბოლოო ნაშთი
2110 - მიწის ნაკვეთები	390,00	380910,00					390,00	380910,00
2130 - შენობები	1,00	2563815,61					1,00	2563815,61
2150- მანქანა დანადგარები	442,85	133947,53	3,00	5584			445,85	139532
2160 - ოფისის აღჭურვილობა	4593,72	135682,01	1405,70	26535	-1	-140	5998,42	162077
2161 - მცენარეები		2022		210				2232
2170 - ავეჯი და სხვა ინვენტარი	482,99	132055,59	28	5013			510,99	137069

ამორტიზაცია

2230 - შენობის ცვეთა		80873					227047
2250 - მანქანა-დანადგარების ცვეთა		27420					71736
2260 - ოფისის აღჭურვილობის ცვეთა		29222					73276
2261 - მცენარეები		406					1046
2270 - ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა		26540					69935

ნარჩენი 31.12.2023

2110 - მიწის ნაკვეთები	390,00	380910,00				390,00	380910,00
2130 - შენობები	1,00	2422641,83				1,00	2336768
2150 - მანქანა-დანადგარები	442,85	89631,11				445,85	67796
2160 - ოფისის აღჭურვილობა	4593,72	91628,67				5998,42	78801
2162 - მცენარეები სასტუმრო	0,00	1383				0,00	1188
2170 - ავეჯი და სხვა ინვენტარი	482,99	88661,99				510,99	67134

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შემენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტი:

- მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო, საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე
- ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.
- აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და აღილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შემენის მომენტში ან შემდეგში.

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

თიბისი ბანკი - GE36TB7194336080100013 (GEL) ბარი	4564,81
თიბისი ბანკი - GE04TB7194345067800004 (GEL) VISA BUSINESS	95,16
თიბისი ბანკი - GE79TB7194336080100015 (GEL) სასტუმრო	9266,89
სალაროს ნაშთი	8025,61
სულ	21951,87

შენიშვნა 10

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	<u>31.12.2023</u>	<u>31.12.2022</u>
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	0	861
დებიტორული დავალიანება	1104	20 865

შენიშვნა 11

სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მუხლში აღრიცხულია ის ნედლეული და მასალა, რომელსაც კომპანია იყენებს სასტუმროს ფუნქციონირებისთვის

შენიშვნა 12

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	<u>31.12.2023</u>	<u>31.12.2022</u>
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება		
დავალიანება მომწოდებლებთან	39409	64 919
მიღებული ავანსი	0	6 825

შენიშვნა 13

საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებების მუხლში ჩართულია საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ბალანსის შედგენის თარიღისათვის ამოწურული არ არის. 2022 წლის ბოლოსთვის ვალდებულება შეადგენდა 7074 ლარს ხოლო 2023 წლის ბოლოს 3488 ლარს.

შენიშვნა 14

სასესხო ვალდებულებები
მოკლევადიანი

31.12.2023
0

31.12.2022
32 638

გრძელვადიანი


31.12.2023
0

31.12.2022
2 866 274

9.ფინანსური ანგარიშგების
დაამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა
2024 წლის 15 სექტემბერს

დირექტორი:


თ. ნაზარიძე